საიდ. №72127/03
IR 1155913

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №59-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ეგუტია (თავმჯდომარე), გ. დუდუჩავა, მ. ბაკურაძე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ” პუნქტისა და 2014 წლის 27 ივნისის №ა-163 წერილის საფუძველზე ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანია „ვიმპელკომ ლტდ”-ს (VimpelCom Ltd.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №59-03/14), რომლითაც მოითხოვება „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 19 თებერვლის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №383/03 ბრძანების ბათილად ცნობა და გამოსახულებითი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის (საიდ. №72127/03 IR 1155913) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-9, 35-ე, 36-ე, 38-ე და 42-ე კლასები). „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 19 თებერვლის №383/03 ბრძანებაზე

თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის ოპენ ჯოინტ-სტოკ კომპანი „ვიმპელ-კომუნიკეიშენს“-ის (Open joint-stock company "Vimpel-Communications") სახელზე რეგისტრირებული ნიშნებისა „Билайн“ + გამოსახულება (რეგ. თარიღი: 13/09/2005, რეგ. №871893), “Beeline” + გამოსახულება (რეგ.თარიღი: 13/09/2005, რეგ. №871890), „Билайн“ + გამოსახულება (რეგ.თარიღი: 13/09/2005, რეგ. 871892), “Beeline” + გამოსახულება (რეგ. თარიღი: 13/09/2005, რეგ. №871894). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებული ნიშანი შესრულებულია წრეწირის ფორმით და დატანილი აქვს შავი და ყვითელი ზოლები, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას მე–9, 35-ე, 36-ე, 38-ე და 42-ე კლასების მსგავსი ჩამონათვლისათვის, რის გამოც განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე განცხადებული საქონლისა და მომსახურების სრული ჩამონათვლისათვის.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ სააპელაციო საჩივარს თან ერთვის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიის მიერ გაცემული თანხმობის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშნისა და საქართველოში უფრო ადრე რეგისტრირებული ნიშნების მფლობელები ერთსა და იმავე სამრეწველო ჯგუფს მიეკუთვნებიან.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია, შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო საჩივარზე თანდართული დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიის ოპენ ჯოინტ-სტოკ კომპანი „ვიმპელ-ქომიუნიქეიშენს”-ის (Open joint-stock company “Vimpel-Comunications”) მიერ გაცემული

თანხმობის წერილის თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანია თანახმაა აპელანტი კომპანიის „ვიმპელკომ ლტდ”-ს (VimpelCom Ltd.) სახელზე საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის IR 1155913 დაცვასა და გამოყენებაზე საქართველოში. ამავე თანხმობის წერილის თანახმად, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები მიეკუთვნებიან ერთსა და იმავე სამრეწველო ჯგუფს. აქედან გამომდინარე, ვინაიდან, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები მიეკუთვნებიან ერთსა და იმავე სამრეწველო ჯგუფს, შესაბამისად აღარ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის მწარმოებლისა და მომსახურების შემთავაზებლის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები მიეკუთვნებიან ერთსა და იმავე სამრეწველო ჯგუფს, შესაბამისად აღარ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ვიმპელკომ ლტდ”-ს (VimpelCom Ltd.) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 19 თებერვლის №383/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
3. გამოსახულებითი სასაქონლო ნიშანი (საიდ. №72127/03 IR 1155913) დარეგისტრირდეს საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის განმავლობაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ე. ეგუტია

წევრები: გ. დუდუჩავა

მ. ბაკურაძე